



№ 36

30 გიორგობისთვე 1914 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

≡ 5 მან. ≡

ქოველ კვირეული საჯოგადო-მაონო.

ცალკე ნომერი 10 კაპ.

მიური და სალიტერატურო ჟურნალი.

რედაქცია ღიაა 9—3 სა:თაშდე.

წელიწადი მასამე

მისამართი: თბილისი, გაბაევსკიი პერ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე ვ ი:

1. ქ. შ. წ. კ. გ. ს.
2. ომი და ქართველ-სომეხთა ურთიერთობა.
3. სამელიორაციო საქმე და კურორტები.—ნ. ანოხინისა.
4. ფაუსტი.—ა. შისა.
5. სომეხური ზრესა,
6. რუსული ზრესა და ქართველობა.—ეკალისა.
7. უცხოეთის მიმოსხიდეა.—ქართლელისა.
8. იოქსიმოვიჩის დექციაზუდ.—რაფსი.
9. თეატრი და ხელფანება.—დიოგენ-სა.



გზა, გერმანელეზო! მოდის რუ-ეთი შეერაზეზული ..  
(სურათი მხატვარ ს. ვ. ჟივოტოვსკისა)



# ქ. შ. წ.-კ. გ. ს.

რამდენიმე კვირაა რაც დაიწყო ქ. შ. წ.-კ. გ. ს. კრება და უნდა ვიფიქროთ, დღეის იქითაც რამდენიმე კვირას გასტანს თუ ისეთივე ტემპით იარა, როგორც აქამდის. ასეთი გაგრძელება კრებისა იმ გარემოებამ გამოაწვია, რომ მარტო კვირა-დღეობით ინიშნება. თვითონ გაგრძელებაში, რასაკვირველია, ცუდი არაფერია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რომ თანდათან სუსტდება ინტერესიც საქმისადმი და შემადგენლობაც, რომელიც თანდათან კლებულობს. ეს კი ფრიად სახიფათოა მომავალი მოქმედებისათვის, რადგან უკვე ყოფილ კრებებზედაც გამოირკვა, რომ უდიდეს საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობას იღებს ათიოდე კაცი და დანარჩენი საზოგადოება კი სდუმს; არა მარტო სიტყვიერად, არამედ თავისი ხმის მიუხედავად. ყოველი საკითხის გადასაწყვეტად სდგება ხუთიოდე მომხრე და ხუთიოდე მოწინააღმდეგე, დანარჩენი მას არავითარ მონაწილეობას არ იღებს. ამისათვის საჭიროა ხმები მაინც დაითვალოს ხოლმე, რომ მომავლისათვის დარჩეს საბუთი თუ რამდენი კაცი სწყვეტდა ფრიად მნიშვნელოვან საკითხებს.

საზოგადო მსვლელობა კრებებისა იმგვარივეა, როგორც წინანდელი წლებისა: ოპოზიცია და ცალკე წევრნი მიწასთან აიწორებენ გამგეობის ყოველ ნამოქმედარს, რომელიც მართლა უნუგეშო სურათს წარმოადგენს, და ფაქტიურად კი არაფერი იცვლება -- მარტო გამგეობის „კარგი რეზოლიუციები და სურვილები“ რჩება. გამოირკვა, მაგ., რომ სკოლები უნუგეშო მდგომარეობაშია და გამოიტანეს რეზოლიუცია: კარგი სკოლები უნდა იყოს; გამოირკვა, რომ ბიბლიოთეკები უნუგეშო მდგომარეობაშია, და დაბოლოვდა მსჯელობა: კარგი ბიბლიოთეკები უნდა იყოს და სხ. და სხ. არც ერთი პრაქტიკული ნაბიჯი რისამე გასაუმჯობესებლად გადადგმული არ არის. პირ იქით, „კარგი სურვილებით“ სავსე რეზოლიუციები ამტკიცებენ რომ საქმე ისევე ძველ დონეზედა რჩება და მომავალშიაც არ გაუღიმიებს ბედი საზოგადოებას, თუ ძირითადი ცვლილება არ მოხდა მართვა-გამგეობის საქმეში. ჩვენ იმედს არა ვკარგავთ რომ საზოგადოების უფრო ცოცხალი ნაწილი, რომელსაც არ იმორჩილებს ეწლანდელ გამგეობის უნიათო პასიობა, ღრმად შეიგნებს იმ დედა აზრს, რომ ჯგუფობრივი „კეთილ საიმედობა“ (რომელიც გამოისახება ცენზის სიდიდესა და ინერ-

ციით გადაძალვაში ყოველი ცოცხალი და ახალი აზრისა) გამოირიცხული უნდა იყოს საზოგადოების არსებობიდან, თუ გვსურს მართლაც სიცოცხლე ჩავბეროთ ამ დიდი მიზნის და აქამომდე პაწია საქმის დაწესებულებას.

შეუძლებელია ამ დიდ ეროვნულ საქმეს აწარმოებდეს ისეთი ხალხი, რომელიც სხვათა შორის გაჩუქებს სამოწყალოდ თავის ღროსა და ენერგიას. აუცილებლად საჭიროა თავისუფალი და ენერგიით სავსე ხალხი, რომელიც თავგადადებული იმუშავებს მხოლოდ საზოგადოების პირდაპირ მიზნისათვის -- ქ. შ. წერა-კითხვის გაგრძელებისათვის. კიდევ გავიმეორებთ, რომ უკუგებულ უნდა იყოს ყოველგვარი დაძველებული ეთიკა და საქმეს პირდაპირ თვალეზი შევხედო -- საქმე კოკლობს არა იმდენად გარეშე პირობების ზეგავლენით, რამდენადაც შინაგანი მოუწყობლობით და უწყსრიგობით, თავისი საქველმოქმედო მიმართულებით. მაშ ვეცადნეთ, უკუვავდოთ უნაყოფო სანტიმენტალიზმი და რეალურის თვალსაზრისით ვიხელომდვანელოთ დღევანდელსა და შემდეგს კრებებზედ.

## ომი და ქართულ-სომხეთს ურთიერთობა

არ გვეგონა თუ სომხური პრესა („მშაკი“, „ჰორიზონი“, „კავკ. სლოვო“) ასეთი სოლიდარული უარყოფითი შეხედვებოდა ქართული პრესის ობიექტურ შეხედულებას სასომხეთოს ავტონომიაზედ და გულწრფელ სიტყვას სიმშურენდ გადააქცევდა. განათვით სომხებს არ უნდა ესმოდეთ, რომ ჩვენთვის, ქართველთათვის, სასომხეთოს ავტონომია ოსმალეთში სასურველი პოლიტიკური მოვლენა იქნებოდა; და განა ჩვენ ხაზგასმით არ აღვნიშნეთ, რომ ეს უბრალო კეთილის სურვილებით კი არ მოგვივა მარტო, არამედ ღრმად შეგნებული ინტერესების მიხედვით?

სასომხეთოს ავტონომია, ნორმალურ პირობებში განხორციელებული, უნდა ვიფიქროთ, მიიზიდავს არა მარტო პოლიტიკურ სიმპატიებს სომხებისას, არამედ მოსახლეობასაც და ამ გვარად შეთხელდება, მაგალითად ამიერ-კავკასიისა და საქართველოში მათი რიცხვი. ეს უკანასკნელი გარემოება კი თავისთავად სპობს სადაო საკითხებს რეალურ მოსახლეობისას. მაშასადამე ქართველობის გულწრფელობაში ამ მხრივ არავითარი ეჭვის შეტანა არ შე-



იძლება და თუ ვისმეს შეაქვს, ალბად იმ არანორ-  
მალურ პირობებიდან გამომდინარეობენ, რომელიც  
წინა წერილში აღვნიშნეთ, ე. ი. რომ სომხებს  
ჯერ საბოლოოდ და დაბეჯითებით არ უთქვამთ თა-  
ვიანთი უკანასკნელი სიტყვა, სადა თუ ხედავენ თა-  
ვიანთ მომავალი სამშობლოს საზღვრებსა.

უკანასკნელი ამბები და საზოგადოთ სომხური  
ცნობები პირიქით ამტკიცებენ ჩვენ მოსაზრებას და  
ნათელჰყოფენ, რომ იქაც არ უნდათ დასტოვონ და  
არც აქ ხელი აიღონ. აი მთავარი სადაო საკითხი  
და მეტისმეტი გულახდილობა გვმართებს, რომ ეს  
უკანასკნელი საბოლოოდ იყოს გარკვეული. მართ-  
ლაც, არამცთუ ჩვენ ვხედავთ, რომ არაბუნებრივი  
გადმოსახლების ტალღა არ შეჩერებულა არასოდეს,  
პირიქით დღევანდელი ტალღის სიმაღლეს ხელს  
უწყობენ იმით, რომ მეტისმეტად ჯოჯოხეთურ  
ფერებითა ხატავენ ოსმალეთის სასომხეთოს სურა-  
თებს და მეტისმეტი აღტაცებით აქაურებს. ესე-  
თი გაზვიადება ერთისაც და მეორესაც სომხური  
პრესისაგან, ისედაც არაჩვეულებრივს ზრდას გად-  
მოსახლებულთა, უფრო ზრდის და ზრდის მერე  
რითი ხელმძღვანელობენ ისინი, ვინც თვითონ კის-  
რულობს უხელმძღვანელოს სომხის ერს? ცხადია,  
რომ რამდენსაც მეტს დასტოვებენ ადგილს ოსმა-  
ლეთში და გამოიქცევიან, იმდენად მეტს დაიქე-  
რენ სხვები და იმდენად შემცირდება პროცენტი  
სომეხთა მოსახლეობისა სომხურ ვილაიეთებში და  
ეს პროცენსი, რომელიც დღეს და გუშინ არ დაწ-  
ყებულა, განაგრძნობს თავის საქმეს; იმ საქმეს,  
რომელმაც დღემდის უკიდურესობამდე შეამცი-  
რა სომხების მოსახლეობა ოსმალეთში მაშასადა-  
მე, თუ ხელმძღვანელნი სომხეთის ერისა მართლაც  
ძალიან ეჭიდებიან სამშობლო მიწა-წყალს, უნდა  
პირიქით ოსმალეთისაკენ ეზიდებოდნენ ხალხს აქედა-  
ნაც. ამისათვის საკმარისია თუნდა იმ ობიექტური  
პირობების აღწერა, რომელიც ამტკიცებს, რომ  
ოსმალეთის სახელმწიფო მორიდებით ეკიდება სომ-  
ხებს, რადგან ეშინია მათი და თვით ოსმალელი სომ-  
ხებიც ქადაგებენ მთავრობის ერთგულებას.

უნდა ვავაბათილოთ ის მოსაზრებაც, ვითომ  
ქართველებსა შორს სომხების ავტონომია. ეს მო-  
საზრება სრულიად უნაყოფოა ბევრის მხრით: ჯერ  
ერთი ეს ქართველების იდეალის დამარღვეველი შუ-  
რი იქნებოდა და მეორეც განა თვითონ სომხები არა  
გრძნობენ, რომ ოსმალეთში მოპოვებული ავტონომია  
ჩენთვის ხელსაყრელია? საკითხი მხოლოდ იმა-  
შია, რომ თავის ავტონომიის ფარგლებში არ მოაქ-

ციონ ჩვენი მიწა-წყლის ნაწილიც, რასაც დაეინე-  
ბით ამტკიცებს მთელი მათი უკანასკნელი ხნის პო-  
ლიტიკა. „ჰორიზონი“ ეხლაც ლაპარაკობს ნარ-  
თაულად იმაზედ, რომ ახალქალაქის მახრა (არაბუ-  
ნებრივად დასახლებული) და თბილისი რეალუ-  
რი მოს ხლეობის პრინციპს უნდა დაემორჩილოს.

ბ-ნი ხატისოვი, „კავკ. სლოვო“ და სხ. განგებ  
სთხზავენ ახალ ტერმინოლოგიას: „კავკასიელი“,  
„ძველი ქალაქი“ (საქართველოს დედაქალაქის მა-  
გიერ) და სხ. ბ-მა იშხანიანმა ხომ სულ მოგვსპო:  
„О какой Грузии говорить шовинисты, мы все  
жители Кавказа“ და სხვა და სხვა. და ეს უცნა-  
ური ტერმინოლოგია უკაბედათ არ იქმნება და  
შემთხვევით ხასიათს არ ატარებს—ეს სისტემაა, და-  
ფუძნებული წინასწარ პოლიტიკუ ზრახვაზედ. ჩვენ  
ამ ზრახვათ არ ვიზიარებთ, ვინაიდან ჩვენს ერს სა-  
კუთარი სახელიც და სახეცა აქვს და მისი გადალახ-  
ვის უფლება კი—არავის.

რამდენად მართალია ჩვენი მოსაზრება, რომ  
სომხები არა კმაყოფილდებიან თავისი სამშობლოთი.  
არამედ ოცნებობენ დიდ სასომხეთოზედ სჩანს თუნდა  
იმ ცნობებიდან, „კავკ. სლოვოს“ მოჰყავს რომ ერთ-  
ერთ რუსულ გაზეთიდან: „როდესაც რუსეთი გაიმარ-  
ჯვებს, ექვიარ არის დარდნაელის და ბოსფორის სრუ-  
ტე მის ხელში იქნება და სომხეთიც განთავისუფლდება,  
რომელსაც უნდა მიეცეს შავსა და ხმელთა შუა  
ზღვაზედ ნავთსადგურები: ტრაპიზონი და ალექსან-  
დრეტა.“ აი სადამდის აღწევს ოცნება. ტრაპიზონი  
ლაზისტანშია და თვით „კავკ. სლოვოს“ მოცლილ  
ბატონ ნარს“ რომ ჰკითხო, ქართველები უნდა  
ოცნებობდნენ ლაზისტანის შემოერთებაზედ, ვინაიდან  
ლაზები იგივე მეგრელები არიან ამის მიუხედა-  
ვად ტრაპიზონის ვილაეთსაც სომხები ეპატრონი-  
ან... თუმცა სომხობა სულ 40000-ა იქა, ბერძენი  
40000, კოტა ოსმალთა და სხ. და 200000 კი ლა-  
ზია. ასეთი ტემპით თუ ვიარეთ, რატომ ბათომი და  
ფოთი კი არ უნდა იყოს სომხების ნავთსადგური,  
როსტოვი და მოსკოვი სომხეთის დედა-ქალაქები—  
იქაც ხომ არიან სომხები.

აი ასეთ გატაცებისაგან ვაფრთხილებდით სომ-  
ხებს და არა გვშურდა მათთვის ავტონომია იქ, სა-  
ცა თვით უფალმა დაუმკვიდრა სასუფეველი და სამ-  
შობლო.

ჩვენის ღრმა რწმენით, ავტონომია სომხებისა  
ოსმალეთში ფრიად საგულისხმიერო მოვლენაა: ქა-  
რთველობა ამას სიხარულით უნდა შეხედდეს და  
არა შურით, მხოლოდ ამ ავტონომიის საკითხი რე-



ალურ ფარგლებში უნდა ასმებოდეს და რეალურ სახეს იღებდეს ისეთს, რომელიც საქართველოს ინტერესებს არა ბღალავდეს. ამისათვის კი სომხობამ კატეგორიული უარი უნდა სთქვას საქართველოს მიდამოებში პილიტიკურ ზრახვათა გზხორციელე ბაზედ, უნდა გულახდილად აღიაროს და პრაქტიკულადაც ისეთი ნაბიჯები გადასდგას, რომელნიც ამტკიცებდნენ რომ თავის სამშობლოს სომხები იქა ხედავენ, საცა არის იგი — რუსეთ ოსმალეთის საზღვრების გარშემო და საქართველოს გარეშე.

## სამელიორაციო საქმე და კურორტები

მასუელი უცხოელნი, და ნამუქნავად კეთილი შეზობელი რუსები შეტად სსსარგებლანი გამოდგენენ ჩვენთვის. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში მათ შემოიტანეს ჩვენ ქვეყანაში ბევრი მიდიონი ოქრო. მათ გვიშველეს მშეიდათ და კარგად შეკვევრავების დიდძალი ოქრო...

რბბერტ კოხი (უფთალი გამგე გერმანულ საიმპ. ბანკისა).

უკანასკნელმა მსოფლიო ამბებმა, გამოიწვიეს არა ჩვეულებრივი აღფრთოვანება და ერთობა რუსეთის ხალხისა. ეს ამბები მოითხოვენ აუბრებელ მსხვეგრბლს და ძალას. ომის შედეგები აუცილებელია ღრმა წყლულებს დასავავს ხალხის კეთილდღეობას. ამიტომ, წყლულები რომ ისე ღრმა არ იყოს და მალეც განიკურნოს, ეხლავე საჭიროა ფართო განვითარება შემოქმედებითი ძალებისა ჩვენი თვალუწვდენელი და მიდიარი სამშობლოსი.

როგორც ერთ-ერთ მხარეზედ, რომელიც ხელს შეუწყობს რუსეთის კეთილდღეობას და კერძოდ კავკასიისას, უნდა უჩვენოთ კურორტების და კლიმატიურ სადგურების შექმნაზედ.

რიცხვი რუსებისა, რომელიც დადის და ამდიდრებს ნამეტნავად გერმანელ და ავსტრიელ კურორტებს წლითი წლობით იზრდება და წრეულ აღმება 100,000 კაცს. ამასთან მაჭულობს გაზიდიული ოქროც, რომელიც აღის 100—125 მილიონამდე ყოველწლივ.

ერთ-ერთ სხდომაზედ ამა წლის მარამობის

თვეში, მინისტრთა საბჭო დაადგა იმ აზრს, რომ კურორტების განვითარებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, როგორც ერთ-ერთს საფუძელიან დარგს ეროვნულ მეურნეობაში.

პეტროგრადში „მედიცინის საბჭოსთან“ დაარსებულია კომისია პროფ სიმონოვსკის თავმჯდომარეობით, რომელმაც უნდა გამოარკვიოს საკითხი რუსეთის სამკურნალო ადგილებისა. კომისიის სხდომებზედ გამოიკვა საჭიროება შემოდგომაზედვე კრების მოწვევისა პეტროგრადში, კურორტების საკითხის განსახილველად და შინაგან საქმეთა მინისტრმა დაამტკიცა კიდევ ოქმი კომისიისა ამ საკითხის შესახებ.

გზათა სამინისტრომ გადასწყვიტა დახმარება ამ საქმისათვის გზების გაყვანით სამკურნალო ადგილებსა და კურორტებში. ამიტომ ნება მიეცემა კერძო პირებს თუ საზოგადოებათ შეუერთონ სამკურნალო ადგილები რკინის გზებსა.

პეტროგრადში დაარსდა ბარონ ნ. ვ. ოსტენდრიზენის ინიციატივით («რულიად რუსეთის საზოგადოება სამკურნალო ადგილების განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის»). მთავარ გამგეობის თავმჯდომარედ არის ნ. ვ. ოსტენდრიზენი; ამხანაგებად ლეობ-ექიმი ბერეჟალი და ხვოშჩინსკი, მდივანდ ზუბოვსკი, ხაზინადრად დავიდოვი. საპატიო თავმჯდომარედ არის მთავარ-გამგე მიწათ-მოქმედებისა და მიწათ გაუმჯობესებისა — კრივოშენინი.


მოსკოვში შესდგა ექიმების კომისია, რომელმაც უნდა შეისწავლოს სამკურნალო ადგილები, ხელი შეუწყოს მათთან გზების გაყვანას და სხვა და სხვა.

ყველა შემოადნიშნულიდანა სჩანს, რამდენად ძლიერია მოძრაობა სამკურნალო ადგილების და კურორტების ასაღორძინებლად და მოძრაობას სათავეში უდვას მთავრობა, რომელმაც გადასწყვიტა ხელი შეუწყოს ამ კითხვის გადაწყვეტას და მიიზიდოს კურორტების გასამართავად აგრედვე კერძო ინიციატივაც კაპიტალისტებისა.


ექვი არ არის, რომ მინერალური წყლების რიცხვით, მათი ხარისხით, ბუნებრივი სიმდიდრით და სხვა, პირველ ადგილს დაიკერს რუსეთში კავკასია და ნამეტნავად შავი ზღვის ნაპირები.

ამიტომ, დღევანდელ მომენტში მეტად საყურადღებო ხდება საკითხი ფართო სამელიორაციო სამუშაო. ი კავკასიაში და ნამეტნავად შავი ზღვის ნაპირებზედ. იმის და მიუხედავად, რომ საუცხოვო ბუნებრივი პირობებია იმ კურორტების განსავითარებაში.






2



1



3

**ბელგიელების ჯავშნიანი მათარებელი**

1) პაეროპლანებისათვის სასროლი მიტრალიეზა. 1) ციხის მავარი ვაგონები სათო-ფურებით. 3) საარტილერიო ვაგონი თავისი დამცველებით.

რებლად, დიდი დაბრკოლება იმაში, რომ თითქმის ყველა ადგილას მძინვარებს მალარია.

მაგალითად, 1913 წლის გამოფენაზედ: „რუსეთის რივიერა“—პეტროგრადში, სამალარიო განყოფილებაში შეკრებილი იყო და შემუშავებული დიდი მასალა. ამ შემუშავებულ ცნობათა რუკაზედ შემდეგნაირად იყო განაწილებული შავი ზღვის სანაპიროებში მომქმედი მალარია:

სოჭი	—	51,7 პროცენტი
აღღერი	—	49,8 „

გომბორი	—	91,1	„
გუდაუთი	—	80,4	„
სოხუმი	—	62,1	„
ოჩემჩირე	—	60,4	„
ანაკლია	—	68,2	„
ფოთი	—	47,4	„
ქობულეთი	—	47	„
ჩაქვა	—	59,7	„
ბათომი	—	67,2	„



საშუალო პროცენტი ავადმყოფობისა შავი ზღვის ნაპირებზედ არის 60,1.

ესეთი დიდი პროცენტი ავადმყოფობისა იხსნება იმ გარემოებით, რომ თითქმის ყველა მდინარე კავკასიისა, როცა მთიან დაქანებული ადგილიდგან ბარში ვარდება სწრაფათა ჰვარგავს თავის სიჩქარეს, იშლება, თხელდება და აქაობებენ დიდ ადგილებს, რომელთაც დიდი ღირებულება აქვთ მიწის კულტურისათვის.

მარტო ერთი შავი ზღვის სანაპიროს ადგილი ქობულეთიდან ოჩენჩირემდე, გაქიმულა თითქმის ასი ვერსის მანძილზედ, რომელსაც რიონის შესართავთან მარტო სივანე ოც ვერსზედ მეტი აქვს.

აი სწორედ ეს ქაობებია დამბალ ციების ბუდე და კავკასიის სანაპირო ჰავა თავის დამღუპველი გავლენით ყველაზედ საგრძნობელი ხდება. ერთ-ერთ საუკეთესო რადიკალურ საშუალებად მაღარის მოსასპობად უნდა ჩაითვალოს საზოგადოთ წყალთა მოვლა (რეგულიაცია), რომელიც უნდა იკისროს სახელმწიფომ და მიიზიდოს სამოქმედოთ ადგილობრივი მცხოვრებნიც. ყველაფერი ამტკიცებს, რომ მთავრობა ფართეთ იხელმძღვანელებს ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებით, ვინაიდან ამით ორს უმთავრეს სახელმწიფოებრივ მიზანს მიაღწევს. 1) კულტურული სახე მიეცემა მრავალ ათას დესეტინა მიწას, რომელიც დღეს ქაობებითაა ქცეული და 2) შავი ზღვის ნაპირები განიკურნებიან სენისაგან, რაიც შეძლებას მისცემს სულ ახლო მომავალში გამოყენებული იყოს, როგორც სამკურნალო ადგილი და კურორტები. თანავგრძნობა და დახმარება მთავრობისა ხელს შეუწყობს კაპიტალისტების მიზიდვას ამ საქმისაკენ და უარი რუსეთის მკვიდრი ხალხისა გერმანელ და ავსტრიელ კურორტებზედ, გარედ გასულ 100—125 მილიონ ოქროს რუსეთშივე დაატრიალებს და გააცხოველებს არა ერთ დარგს ეროვნულ მეურნეობისას.

თავისი დიდძალი სამკურნალო წყლებით, კლიმატური ადგილებით და ბუნების სილამაზით შავი ზღვის სანაპიროთ უნდა დაიჭირონ პირველი ადგილი რუსეთში და ცენტრად გადაიქცნენ არა მარტო რუსეთის კურორტების კლიენტებისათვის, არამედ საზღვარ-გარეთელი კურორტებისაც. ამიტომ შავი ზღვის სანაპირო მდინარეთა შესართავების რეგულიაცია პირველ რიგში უნდა დაისვას პეტროგრადის საკურორტო და თბილისის სამელიორაციო კრებაზედ.

## 5. ანოხინი.

**რედაქციისაგან.** ეს ფრიალ საყურადღებო წერილი დაბეჭდილია „კავკასიის სამელიორაციო ფურცელში“, რომელსაც ბეჭდავს ყოველ თვე „კავკასიაში სამელიორაციო კრების მომწყობი ბიურო“. ვინც ამ ფურცლებს ადევნებს თვალყურს და საზოგადოთ „სამელიორაციო საქმეს კავკასიაში“ იმ ფარგლებში, რა ფარგლებსაც უჩვენებს მრავრობა, გაუკვირდება, რომ ზემოხსენებულ წერილში, პირველად იხსენიებენ საზოგადოებას და ადგილობრივ მცხოვრებლებს. ყველას კარგად მოეხსენება საით იხრება მაგალითად „მტკვრის ხეობის რეგულიაცია“, რომელსაც მთელი თავისი წყლით უნდა მოარწყვეინონ მულანის და მილის უდაბნოები, საცა უნდა გაშენდეს ახალშენები შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულთათვის, ბაბის მოსაშენებლად. ეს იმ დროს, როცა უკვე დასახლებული და მაღალ კულტურის მეურნეობა-ფეხმოკიდებული ქართლი და კახეთი უწყლოობისაგანაა დაზარალებული. ყველა იცნობს მინისტრ კრივოშინის პროექტს მტკვრის წყალთა გამოყენებისას, რომლითაც არამცთუ დღეს, სამუდამოდ მერმისშიაც ქართლი და კახეთი მშრალზედა რჩება, რადგან მტკვრისა და მის შემადგენელთა წყალი (ალაზანი, იორი, არაგვი, ლიხვი და სხვა და სხვა) მთლად უნდა დაიკეტოს ამ პროექტით, რომ მულანის უდაბნოებს უზიდოს სიცოცხლის ძალა. ეს „დიადი“ პროექტი სრულიად გვერდს უხვევს ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებს და თუ უდაბნოს მომავალ მოსახლეობაზედ მილიონები იხარჯება, ადგილობრივ უკვე არსებულ მოსახლეობაზედ ასეულებიც არა. ასევე იყო აქამდის შავი ზღვის სანაპირებზედ, საცა ადგილობრივ მცხოვრებთ აკრძალული ჰქონდათ მიწის შეძენის უფლება, მაშინ როდესაც შიდა გუბერნიებიდან და ოსმალეთიდან გადმოსახლებულთ ყოველ გვარი შელავათი ეძლევათ.

ამასთან ჩვენ უნდა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოებაც, რომ რუსეთის აგრედ წოდებულმა კურორტმანამ ცოტა ხანი არ არის, რაც ფეხი მოიკიდა რუსეთში და მრავალი მილიონი იმსხვერპლა როგორც ჩრდილოეთ კავკასიისა ისე ამიერ-კავკასიაშიაც, მაგრამ არამცთუ საზღვარ-გარეთელი, რუსეთის მკვიდრიც ვერ მიიზიდა იმდენად, რომ აენახლაურებინა დიდძალი ხარჯი. რითი იყო გამოწვეული ეს უნაყოფობა? იმით, რომ სახელმწიფომ იტვირთა ეს დიდი ხარჯი და მართლაც მდიდრულად მოაწყო სამკურნალო ადგილები, მაგრამ მთავარი საგანი კი დავიწყებული იყო: კულტურულ ცხოვ-



რების ამალღება. მაშინ როდესაც ამ ძვირფას კურორტებს გზები არა აქვს, გარშემო მოსახლეობა ღარიბია და კურორტებში ცხოვრება ამის გამოიწვევით ერთი-ათად გაძვირებულია, რომელი ღდა-მიანი არ არჩევს საზღვარ გარედ გაქცევას, საცა ქვეყნებსაც ნახავს ახალსა, იწამლებს კიდევ უკეთესად და კარგ პირობებშიაც იცხოვრებს. სამშობლო კურორტების პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ სწორედ მათი წარმოების და განვითარების დროს უფრო და უფრო მატულობს საწარმოებლად საზღვარ გარედ გასული საღხი და მისგან გაზიდული ოქრო.

რატომ ხდება ესა? იმიტომ რომ ყოველ კულტურულ-სამეურნეო საქმეს, როგორც მაგალითად მუღანის უღაბნოსისას, ზედ ერთვიან პოლიტიკური ზრახვანი, რაიც ჰბადებს თავიდანვე არა ბუნებრივ მსვლელობას მეურნეობისას.

მაგრამ, გარეშე ამ საზოგადო მოსაზრებისა, უნდა გავითვალისწინოთ დღევანდელი საკითხიც: შავი ზღვის კურორტები და ქაობები. რაღა თქმა უნდა ქაობების ამოშრობა და წყალთა რეგულიაცია ფართო მასშტაბით მარტოდენ სახელმწიფოს შეუძლიან და სახელმწიფოებრივ ზომებსა თხოვლობს ეს საქმე, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ადგილობრივ მკვიდრთა დაუხმარებლად და მათი საკუთარი ინტერესების დაუცველად — ეს ფართო სამედიცინო პრაქტიკებიც არა ბუნებრივ მიმართულებას და კურორტომანიის სახეს მიიღებენ.

მართლაც, თუ გარშემო მიდამოს მკვიდრი მოსახლეობა არას მოიგებს და პირდაპირ ინტერესს ვერ დაინახავს, რამ უნდა მიიზიდოს მისი სიმპატია ამ საქმისადმი? მარტო პატრიოტულმა საკითხმა, რომ რუსეთის ოქრო საზღვარ-გარედ არ გავიდეს? ადგილობრივ მცხოვრებ გლეხს, „ობივატელს“ თუ ვაჭარს ასეთი შორეული და მალალი მოსაზრებით ვერ ამომძრავებთ, თუ სარფა არ მიეცით ხელში. უკანასკნელი კი ორნაირად არის სასარგებლო სახელმწიფოსათვის; სახელმწიფოსაგან მიღებული სარფა იზიდავს მისკენ სიმპატიებს და მეორეც — ზრდის თვით დაწყებულ საქმეს. უკანასკნელი მით უფრო თვალსაჩინო ხდება, რომ დაინტერესებული ხალხი ბუნებრივად სტდილობს მოაწყოს ყოველგვარი საშუალება, რომ მიიზიდოს ხალხი; მოაწყოს ბაზარი, სანოვაგის მიწოდება, გზები და სხვა იმ სამკურნალო ადგილებისაკენ, საიდანაც მოგებას გამოვლის. უფრო კულტურული ელემენტები დახმარებას უწყვენ ამ დაწყებულებას იმ იმედით, რომ კულტურული ცენტრი გარეშე პოლიტიკის სარბი-

ელად კი არა ხდება, არამედ აღმზრდელ და ლუკმის მომცემ ადგილად.

ჩვენს სხვა საზოგადო მოსაზრებათ სამეურნეო ადგილების შესახებ უფრო ვრცლად შევეცებით მაშინ, როცა განვიხილავთ მთელ სამელიორაციო პოლიტიკას ამიერ-კავკასიაში.

# ფ ა უ ს ტ ი

(გაგრძელება)

**ფაუსტ.** ჰო, როგორ არა ვარსკვლავებსაც გავცილებივართ!

წარსული ჟამი ეს წიგნია შვიდბეჭდიანი;  
 რასაც უძახი, მეგობრო, დროების სულსა  
 საკუთარ ხელში ჰპოვებს მაგას ადამიანი!  
 და მასში ხედავს თვით დრო ჟამსა გამოხატულსა  
 და, ქეშმარატად, ხშირად მასში წამება ჩნდება,  
 რა პირველ ჰნახვენ, მას უმალვე შორს გაურბიან,

მასში სანაგვე და საწყობი ჯღან-ჯღუნებისა  
 და, სულ დიდი ვსთქვათ, სამთავროს და სამეფოს საქმე,

მშრალი კანონი შესაფერი ტიკინებისა!

**ვაგნერ.** მაგრამ სოფელი! ადამიანთ სული და გული.

მსურდა შემეცნო მაინც რამე ამეებისა!

**ფაუსტ.** რას უძახიან, ან რა ჰქვიან მაგ შემეცნებას?

ვისა აქვს ნება, ბავშვს უძახოს სწორე სახელი?  
 თვით ის მცირენი, რომელნიც კი მისწვდნენ შეგნებას  
 და მათმა გულმა მოაფრქვია წყვილიდს ნათელი გრძნობას  
 უსხნიდნენ მდაბიო ხალხს, უსხნიდნენ ხედვას,  
 დასწვეს, ჯვარს აცვეს, მიაყენეს კარს სატან-ჯველი.

გთხოვ, მეგობარო, შუალამე გადასულია,  
 ამ ხანად ჩვენი საუბარი დროა შევსწყვიტოთ.

**ვაგნერ.** სიამოვნებით ვიფხიზლებდა თუნდ სამუღამოდ,

თუ საგულისხმო კამათს თქვენთან კვლავ განვაგრძობდი  
 მაგრამ ხვალ იცოს, ხვალ აღდგომის პირველ დღესაც.



ნება მომეცით, ერთი სულ სხვა კითხვით მოგ-  
მართოთ.

თავგამოდებით და მხურვალედ ვმეცადინობდი,  
თუმც ბევრი ვიცი, ყველაფერი მინდა ვიცოდე!  
(გადის)

**ფაუსტ. (მარტა)**

იმედი როგორ ჯერ სრულიად არ წარკვეთია!  
კვლავ ამ უმსგავსო ნიადაგზე დაებეცება  
საუნჯეს ეძებს და თუ ჰპოვა მან წვიმის ქია  
მოეფინება მის გულს შვება და აღტაცება!

და მაგისტანა აღამიანს აქვს რა უფლება  
აქ იყოს, სადაც სულთა კრება მე გარს მერტ-  
ყმება

და საუცხოვრ სიმღერებით მეხმაურება?  
მაგრამ, ახ, არა! მე ამ ხელად დიდათაც გმად-  
ლობ,

შენ, უბედურზე უბედურო მიწის შვილებში,  
შენ გამოჰგლიჯე ჩემი თავი სასოწარკვეთას  
რაიც მიქადდა გონების და აზრის შერყევას.  
ახ, ის ჩვენება რა უსაზღვროდ დიადი იყო,

რომ თავი ვიგრძენ პაწა ჯუჯად, ჩია არსებად!

ვფიქრობდი, ვიყავ სწორხატება მე ღვთაებისა,  
სიმართლის სარკე საუკუნო და მოკიალე,  
მე, ვინც ჩემნებად შევეუერთდი ცის ბრწყინვა-  
ლებას

და მიწის შვილნი განზე დავყავ, ჩანოვიცალე  
მე მეტი, ვიდრე ქერუბიმი, ვისი ძალ-ლონეც  
მსურდა მედინა თავისუფლად ბუნების ძარღვში  
და რა შემექმნა, დავმტკბარიყავ ღვთიურ  
ცხოვრებით,

წარმოდგენებით განმსკვალულსა თავი მოქონ-  
და

აწ მე ეს როგორ, როგორ უნდა მოვინანიო,  
ერთმა მრგვინვარე სიტყვამ შიშით პირქვე და-  
მამხო,


არა მაქვს ნება, თავსა ვსთვლიდე შენს თანას-  
წორად,

ძალა ვიხმარე ჩემთან შენსა გამოსაწვევად,  
მაგრამ ძალა კი აღარ მომყვა შენს შესაპრო-  
ბად.



ფანტი ვარისკაცები შუბებით იჭერენ თევზის ბეჭეაში იმ ადგილზედ, რომელი და-  
ფარულია არსებულ გამოშვებულ წელითა.





გერმანელების შესანიშნავი რამდენიმე რიგის თხრილები, შვერთებულნი მიწაშივე ამოთხრილ დაკლაკნილი გზებით. მარჯვნივ არის გამართული სახურავებიანი თხრილები დასასვენებლად, დასაძინებლად და პურის ქამისთვის.

ამ წუთში თავს ვგრძნობ ესდენ დიდად, ესდენ მცირედად.

ასე უწყალოდ მე ხელი მკარ და უკუ მაგდე და ადამიანთ შეუცნობელს ბედში ჩანაგდე. აწ ვინ მასწავლოს? აწ რას უნდა ვერიდებოდე? ნუ თუ მივსდიო ჩემი ლტოლვის ისევ ძველს კვალსა?

ახ! ჩვენი საქმე, ეგრევე ჩვენი ტანჯვა-ვაება ზღუდავს ჩვენსავე ცხოვრებისა გზა გასავალსა! უცხო და უცხო ქვეყნიური გლახ დაბრკოლება დიად რამისკენ მისწრაფებას წინ ელობება, და თუ ამ სოფლის გესურს მივიღოთ სიკეთე, შეება

სიფუქსავატე, მოტყუება ხელში შეგვრჩება. ესენი მოგვცა ჩვენ ცხოვრებამ და რა კრულია მიწიერ ჩხრეკით წმინდა გრნობა გალახვრულია!

—

და თუ ოცნება თამამის ფრთით იმედით სახვე უკვდავებისკენ აგზნებული გადაფრინდება, საკმარისია მისთვის მხოლოდ მცირე მანძილი

ბედით დასჯილი დროს უფსკრულში ჩაიღუპება, იმ წამსვე ზრუნვა ჩაგეჭდობა გულის სიღრმეში, იქა ჰქმნის იგი იღუმალსა ტკივილს, ვაებას, იქ დაუცხრომლოდ არწევს იგი თავის თავს მარად და სამუდამოდ გისაბზს ლხენას და მოსვენებას.

იგი იფარებს ახალ-ახალს ნიღაბ საბურავს, ძალუძს მეუღლის, შვილის სახედ გამოგეცხადოს, ძალუძს გეჩვენოს ცეცხლად შხამად, ხანჯლად, მდინარედ დასატანჯველი სამუდამოდ მით განგიშადოს. რასაც კი ჰხედები, გაცახცახებს, უკრთი შიშითა, უნდა იგლოვო რაც დაჰკარგე ვაი-ვიშითა!

—

არა, არა ვარ ღმერთის სწორი, აწ ღრმად ვგრძნობ ამას,



მე მატლსა ვგეგარ გახრწნილ მტვერში რომე  
დაძვრება,  
რომელიც იქვე საზრდოს ჰპოვებს და წუთხით  
ძღება  
შემდეგ გამვლელი ფეხსა ადგავს და ისრისება,  
მაშ ეს რა არის ჩემს გარშემო, თუ არა მტვე-  
რი

სულის შემხუთად ამ კედლებზე გამწკრივებული?  
ეს ძვალ-ძვულები, ეს ათასგვარ ჯღანებით სავსე  
მლილთა საღირდი დაობლებულ-დახვავებული?  
აქ უნდა ვპოვო საბრალომან, რაც კი მაკლია?  
იქმნება უნდა გადვიკითხო ათას წიგნებში  
რომე სტანჯავენ ერთმმნეთსა ადამიანნი  
და სადღაც იყო ბედნიერი უბედურებში?  
რას მიღრეჯ კბილებს ცარიელო, შენ თავის  
ქალავ?

ხომ შენი ტვინიც, როგორც ჩემი ერთხელ  
ეული  
ნათელს ეძებდა, სიმართლისკენ ესწრაფებოდა  
და ბნელში იქმნა ცდომილი და გზა-არეული!  
თქვენ, ხელსაწყობნო მე, უბედურს აღბაღ  
დამცინით

იმ მორგესა, ფარცხსა, აზარმაცსა, ბორბალოთან  
ერთად.  
მე ბჭესთან ვიდექ და თქვენ უნდა ჰყოფილი-  
ყავით

იღუმალობის გასაღებად და შემაერთად.  
თუმც თქვენი წვეტი კოხტა არის ურდულს  
ვერ აჭხნით,  
რომ საბერავი მოაცალო, არა გნებდება  
და ნათელ დღეშიც იღუმალი რჩება ბუნება.  
მის დიად სულში უხილავად რაიც იმალება  
მას ვერც კახრაკი, ვერც ბერკეტი ვერ მიუ-  
დგება.

და შენც ავეჯო ძველის-ძველო არ მიხმარი-  
ხარ,  
ირგელივ აწყვიხარ, რადგან ძველთა შეძენი-  
ლიხარ,  
და შენც ხვეულო, ეგ ქალაღდი შეგემქვარტ-  
ლება

იმ დრომდის, ვიდრე ის ლამპარი აქ ებუტება.  
ნეტამც ქეიფში გამეფლანგა ჩემი ქონება,  
ეს ბევრად უფრო ცხოვრებაში ემჯობებოდა,  
ვიდრე მკირედით აქ დავსტანჯე ჩემი გონება  
ვიდრე ნიადაგ ძიებ.ში ზვითქი მხდებოდა.  
რაც სამკვიდრებლად შენს წინაპარს გადმოუ-  
ცია

დაემფლობელე რომ შეგეძლოს მით სარგებ  
ლობა,  
ის ტვირთად გაწევს, რასაც შენ ვერ გამოი-  
ყენებ  
რასაც ჰქმნის წამი, მით დაიტკბე გული და  
გრძნობა!

მაგრამ იმ ადგილს ჩემი თვალი რად აჩერდება?  
ის შუშა არის ანდამატებრ რომ მეზიდება?  
რად იქმნა შევებით ჩემი სული განათებული,  
რად გამაბრწყინა სიხარულის საამო სხივით,  
ვით გზა ბნელ ღამეს მთვარის შუქით გაბრწყ-  
ყინვებული?

მოგესალმები ერთად-ერთო ჩემო ჭურჭელო,  
აწ მოკრძალებით მოგიწოდებ, შენი მსურს  
ხლება.

აწ გამახსენდი, შენ ხარ კარგი საშუალება.  
შენ გამჯობინებ კაცთა ჭკუას და ხელოვნებას,  
ძილის მომგვრელი სითხე შენში კვლავ ინა-  
ხება.

შენ, მსხნელო ყოველ სატაჯველთა მომიკვდაე-  
თათვის

აწ დაამტკიცე შენი ძაღის ღმობიერება.  
გიმზერ და გულის მწუხარება მიმსუბუქდება,  
გიღებ შენ ხელში და სიკვდილიც მიახლოვ-  
დება,

ვრცელს ზღვასა იქით დაუცხომლად მივესწრა-  
ფები

ვგრძნობ ფეხთა ქვეშე სარკესავით წყალი მდი-  
ნარებს.

იქ სხვა კიდეზე სხვა განთიადს მივესალმები.

ა. შ.

(შემდეგი იქნება).



### სომხური პრესა

„გაზეთი „ზაკაკვასკავა რეს“-ის რუსულ ასოების წა-  
მოსახსნის ქვეშ ქართული ინტელიგენციის შოფინისტუ-  
რა ფსიხოლოგიას იმალება. რომ შოფინურგათ და დაჯახ-  
სიათათ ის ურთიერთისადმი დამოკიდებულება, რომელიც  
ანსებობს სომხურსა და ქართულ ბეჭდვითი სიტყვას შო-  
რის, სინაღისის ქვეშ შეგვაძლიან ვსთქვათ რომ სომხე-  
რა ბეჭდვითი სიტყვა მართა თავის საკუთარ საქმეში  
იყო კართული და უურადლებს არ აქცევდა ან-და სცდი-



ლობდა უურადლებას არ მიექცია ქართველ ნაციონალისტურ ბასთავის. ქართველები კი ზარიქი უკანასკნელ წლების განმავლობაში, როცა კი შემთხვევას იხელთებდნენ ხოლმე, სულ მუდამ შეურაცხყოფას აყენებდნენ მთელ სომხის ერსა და სწელულავდნენ ისედაც დაწველებულს სომხის ხალხის გულსა. დღეს უმაღლეს წერტილამდე მიაღწია მათმა სიბოროტემ. ჩვენ მუდამ ვცდილობდით როგორმე ქართველების ასეთი ცუდი დამოკიდებულება სომხეთთან ქართველი თავად აზნაურების წოდებრივი ინტერესების თვალსაზრისით აგვეხსნა. ესეა კი ცხადი ხდება, რომ ამ უცნაურ მორალისტებს ოსმალეთის უბედურა სომხებიცა სძაგთ. ეს ვერაფრით ვერ აგვისხნა.

რა მოხდა? რად ააშაღნენ?

ოსმალეთის სომხები ავტონომიას ესწრაფვიან; დიად! თქვენ რა შერეუ თქვენ რა საქმე გაქვსთ? თქვენ აქ რა ანგარიში უნდა გაქონდეთ?

ეს ვაუტანებო დიდ მოუსვენრობაში არიან. ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ავტონომია აქ შეუძლებელია, აუსრულებელი.

„ზაკავკასკაია რეჩი“ ობექტურ მკვლევარის როლში გამოდის და მითმდა შეცნაურული მეთოდით იძლევა ოსმალეთის სასომხეთის მოსახლეობის რაოდენობას.

მაგრამ მედიას სოროში მგლის თავი გამოჩნდა.

თვითუფლ სტრიქონში, თვითუფლ გულგრილად გამოთქმულ მსჯელობაში ჩვენი ხანობი შოფინისტის მიხედვარება და სიბოროტე გამოსწვივის.

თავის დროზე ჩვენ დაუბრუნდებით იმ უსწორ-მას-წორობას, რომლითაც „გრუზინის“ ობექტური კვლევა სვსე.

ჯერჯერობით კი ჩვენ გვაშფოთებს ის შეურაცხყოფელი და ირონიული კილო, რომელსაც „ზაკავკასკაია რეჩი“ ვერ ვხვდავს, თუმცა კი ძალიან ცდილობს.

ოსმალეთის სასომხეთის სივრცე, თურმე ნუ იტყვიოთ იტალიის სივრცეს უდრის. იტალია კი ევროპაში დიდ სახელმწიფოდ არის ცნობილი; ისტორიულ სასომხეთის სივრცე უდრის 1,700 ვერსისა, გეოგრაფიულ სასომხეთის სივრცე კიდე 1000 ვერსს; თვითუფლ ოთხკუთხ ვერსზე სამი სომეხი მოდის. ამას ძლიან „უნახობთ“ რომ ეს ასეა, რადგანაც ასეთი გარემოება ძლიან გააძნელებს ამ მხარის სახელმწიფოებრივ მოწყობასა და სხვა და სხვა.

გარდა იმისა რომ ეს სივრცეა, შეურაცხყოფელიც არის მეზობელ ხალხისათვის, რომელიც იტანჯვის ოსმალეთის მთავრობის უდელქვეშ და ქართველ ზატრიტობისათვის არაფერი ფრება არ მოუტანას, რადგან არც სდამე შეხვედრათ... მაგრამ ყველაზედ შეურაცხყოფელია ის უტიფრობა, რომლითაც სცდილობენ შტო უურადლებით

მოექცნენ ოსმალურ წყაროებს, ვიდრე სასომხეთის ზატრიტობისა...

კაცი ენდობდეს ოსმალეთის წყაროებს და მათზე დამუარებულ ცნობებს თ თქმის უფელა მოგზაურისას—ამ შეურაცხყოფა (რომელსაც სახელს ვერ გამოუძებნით), რომელსაც ქართველი ნაციონალისტები აყენებენ ჩვენს უფელებო და ტანჯულ ძმებს...

ჩვენ არ ვადიდებთ ოსმალეთის სომხების რიცხვს. იგი იქნება სულ ახლო მომავალში გაიზარდოს, „ზაკ. რეჩის“ სურვილის წინააღმდეგ (?). ამ ქვეყანაში ოსმალეთის სხვა მხრებსა და კოლონიებში სცხვრებას ერთი მილიონი სომეხი. დიდი უმრავლესობა სომხეთის სხვდურებთანა და ისინი არ მინდომებენ არანგზათ დარჩენას მტრულ ოსმალეთის უმრავლესობაში და დაბრუნდებიან ბედნიერ ავტონომიურ სამშობლოში. ბევრნი სულ უკანასკნელ დროს არიან გადასახლებულნი თავის არა სტუმართ მოყვარე სამშობლოდან\*). ესედაც კი ჩვენ უფრო დიდ უმრავლესობას წაემოვადგენთ იქა, ვიდრე ქართველები თბილისში (20%) და ახალქალაქში, ამ ქართულ ჯავახეთში (70%). და თუ ქართველი ნაციონალისტები ფიქრობენ, რომ ამ ქართულ მხარეში შეადება აწიოს ქართველების რიცხვა გადასახლებების საშედეგით, მით უფრო მეტი შეადება აქვთ სომხებს გაცხვენონ სამშობლოში კიდე 800,000 სომეხი, რომელიც გადურჩას ოსმალეთის უდელს.“

აი რა პასუხს იძლევის „ჰორიზონი“ „ზაკავკ. რეჩის“ იმ წერილებზედ, რომელიც უკანასკნელ დროს იქ იბეჭდება. ეს პასუხი ცოტაოდნად პასუხად გამოადგება ჩვენს წერილებსაც და მეტად საყურადღებოა ჩვენთვის. მეტადრე უკანასკნელი სტრიქონები. მართლაც, თუ ქართველებსა აქვთ ზოგიერთი გადასახლების იმედი, რატომ სომხებს არ ექნებათ, მაგრამ ჩვენ გარკვეულად უნდა ვიცოდეთ საიდან სად უნდა მოხდეს გადასახლება, რომ არამცთუ გულწრფელის სიხარულით შევხვდეთ, არამედ ხელიც შეუწყოთ ასეთ მებოზლობას, რომელიც თითქო ყველასა გვსურს. ადამიანი მთლად დაბრმავებული უნდა იყოს რომ სიძულვილსა გრძნობდეს ოსმალეთის სომხებისადმი, როგორც ეს ჰგონია პატივცემულ „ჰორიზონს“. პირიქით ჩვენ ასე გვესმოდა „ზაკავკ. რეჩის“ წერილები, რომ ავტორი გამოხატავს სურვილს და ობექტურ პირობების შეცვლას მოითხოვს იმ გვარად, რომ სომხების რიცხვა სასომხეთში უნდა იმატოს, გადმოსახლების საშუალებით. საიდან უნდა გადმოსახლდეს ეს სომხობა, რომ მართლაც რეალური პირობები შეიქმნას, ტერიტორიული ავტონომიისათვის? რასაკვირველია, ანელი

\*) ხაზი ჩვენია. რედ. „კლდე“.



წარმოსადგენია, რომ მაგ., რუსეთიდან, როსტოვიდან, ნახიჩევანიდან და სხ. სომხები გადასახლდნენ თავიანთ ავტონომიურ ქვეყანაში, ვინაიდან მეტად საძირკველიანად მოიკიდეს ფეხი აქა. ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ იმ მკვიდრ სომხებმაც მოიცვალონ ფეხი, რომელნიც ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის ან ერეკლეს დროს არიან გადმოსახლებულნი საქართველოსა და თბილისში... რომელნიც უფრო ქართველი გრიგორიანები არიან, ვიდრე სომხები, მაგრამ სწორედ „პორიზონისაგან“ დასახლებულ ადგილებიდან: თბილისისა და ახალქალაქის მახრიდან, საცა სომხობის უმრავლესობა შეიქმნა ხელოვნურის წესით უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში,—იქიდან სომხობა ბუნებრივ გადასახლების პრინციპს დაიცავს, თუ დაუბრუნდება სამშობლო კერას. ესეთი ბუნებრივი მოვლენა ყველა მკვიდრის თანაგრძობას გამოიწვევდა, როგორც საქართველოში, ისე სასომხეთოში და აი აქეთკენ უნდა იყოს მიმართული რეალური მისწრაფება სომხებისა, რომ ჩამოვარდეს კაცთ-მოყვარეობა და სათნოება. ესეთი ბუნებრივი ტალღა ერთის დაკვრით გადასჭრიდა და სამუდამოდაც, ბევრს უთანხმოებას აქაც და იქაც; ბევრს წინააღმდეგობას. ოსმალეთის სასომხეთოში შეიქმნებოდა მართლაც რეალური მოსახლეობა სომხებისა, რომელიც შესძლებდა შექმნას ნამდვილი პოლიტიკური ორგანიზმისა და აქ დაუთმობდა ადგილს იმ ბუნებრივ რეალურ მოსახლეობას, რომელიც იყო და უნდა იქმნეს კვლავაც. ასეთი გარდაწყვეტა საკითხისა მოსპობდა ყოველგვარ უნაყოფო და ნაყოფიერ კინკლაობასა და შეჯახებას ერთის მხრით და საბოლოოდ დაამყარებდა პოლიტიკურ ერთეულს სომხეთისას საფუძვლიან და უდრეკ ნიადაგზედ. მართლაც, ერი მხოლოდ იქ შეიძლება იყოს მაგრა ფეხმოკიდებული, როგორც ერი და არა როგორც შემოსეული — საცა სამშობლო კერა უნთია,—ამიტომ გვგონია რომ ძირითადად უნდა გადაისინჯოს პროგრამა სომხების მოქმედებისა, თუ სურთ სიმპატიების და ანტიპატიების მიხედვით კი არა წყდებოდეს ეროვნული საკითხი; არამედ რეალური საფუძვლების მიხედვით.

## რუსეთის პრესა და ქართველობა

«Русские люди приняли полное искреннее доверие грузинъ къ русскому правительству, не-

возмутимое ихъ терпѣніе за удобное простодушіе недорослей исторической жизни! это—коренная ошибка въ оцѣнкѣ грузинъ»...

„Къ Грузинскому вопросу“  
проф. Н. Марръ сиб. 1906 г.

რუსეთის პრესამ ქართველებისადმი მოწყალება მოილო.

აქა-იქ ქართველებზედ წერილები იბეჭდება.

მაგრამ ყველა წერილში ერთი და იგივე მიმართულებაა.

იწერება ქართველ მეომრების ვაჟაკობაზედ და სიმამაცეზედ ბრძოლის ასპარეზზედ.

მოგვითხრობენ, რა საუცხოვო გმირობით იხოცებიან ქართველი ჯარისკაცნი ავსტრია-გერმანიის ფრონტზედ.

ცნობილმა წერილმა გაზ. „ბორჟეია ველამოსტისა“ — „ქართველები ომში“ — შემოიარა ბევრი რუსული გაზეთი.

სხვა გაზეთებიც ასევე მოგვითხრობენ...

ისე როგორც წინააღმდეგობა, მოგვითხრობდნენ შოტლანდიელ და შვეიცარიელ დარაჯთა ჯვარდიებზედ, კნებტებზედ, ლანც კნებტებზედ და სხ.

ისე როგორც დღეს ფრანგების ველურ ზანგების ჯარისკაცთა ნოქმედებაზედ მოგვითხრობენ...

და რასაკვირველია ბრძნულ გაზ. „რუსკონსლოვომ“-აც აქედან საქირო დასკვნა გამოიყვანა: ბ. სიბირსკის კალმით „უძღვნა“ ქართველებს დიდი წერილი, რომლის მთელი შინაარსი ბოლო დასკვნაში გამოიხატა:

„ქართველი ხალხი მშვენიერ მასალას წარმოადგენს საუცხოვო „პლასტუნთა ბატალიონების“ დაარსებისათვის“.

რასაკვირველია, დღევანდელ პრესის მთავარი თემა ომის გარშემო ტრიალებს და უმრავლესი ელემენტი ცხოვრებისაც მისი საქიროებით იხომება.

და არც ძალიან გასაკვირველი იქნებოდა, რომ ქართველი ერიც იწონებოდეს, როგორც კარგი სამართი მასალა.

მაგრამ გასაკვირველი ისაა, რომ როცა სხვა ერების ღირსებანი სხვა მხრითაც იწონება—როგორც ეროვნულ კულტურის, ისტორიულ შინაარსის და იდეალების მხრივ, მაგალითად პოლონელებისა, უკრაინელებისა, ლატიშელთა, სომეხთა და სხვათა,



ქართველებისა მართო ერთ მხარეზეა ლაპარაკი: კნებტობასა, ლანცკნებტობაზედ.

სხვა ერებს რუსეთის პრესა ვეებერთელა წერილებს უძღვნის—მის საჭიროებათ, სურვილებს, მოთხოვნილებათ და იმედებს—უკანასკნელთა დასაკმაყოფილებლად.

ქართველებისათვის კი სურვილია—„პლასტუნთა ბატალიონებად“ დაყოფა და ამით დაჯილდოვება.

სასაცილოა ეს მეტად, მაგრამ მასთან სამწუხაროც.

პროფესორ მარის ნათქვამი სიტყვები სწორედ აქაა მოსატანი:

„Невозмутимое терпение“ ერისა ამასაც აიტანს ..

მაგრამ მართა დღეს, სანამ საქვეყნო ალიაქოთი დაშოშინდება...

ხვალ კი ნათლად დავინახავთ ვინ იყო საერთო სახელმწიფოებრივ პოლიტიკაში „недоросль“—ად: რუსეთის მოწინავე პოლიტიკურ პარტიების მოთავენი, რომლებიც განზრახ სთიშავენ ქართველ ერის იდეურ შინაარსსა და მისი ერ ენული სახის პოლიტიკურ მნიშვნელობას რუსეთისათვის წინა აზიაში, (რათა დიდი ჯილდო არ მოგვთხოვონ),—თუ პატარა ქართველი ერის მრავალ მოღვაწეთა ერთსულოვანი და საფუძვლიანი აზრი, რომ—თუ დიდ რუსეთს წინა აზიის ხელში დაჭერა სურს, განსაკუთრებით ქართველობას უნდა დაემყაროს.

ისტორია ამას გვიჩვენებს.

საქართველო შეუერთდა რუსეთს და მიართვა რუსეთის ტახტს მთელი ამიერ-კავკასია იმავე სომხებით, რომელნიც ღღეს რუსეთის პრესამ მართოდ გამოაცხადა აზიაში მართა რუსეთის მსხნელად.

ღღესაც ასეა, მიუხედავად იმისა, რომ მილოვი და არუთიუნოვი არას ზოგავენ, რომ ათანაირი ყალბი წერილებით რუსეთს უმტკიცონ რომ ჩვენა ვართ შენი მსხნელებიო...

ეს არც იყო და არც იქნება.

ბრძნული ქართული ანდაზა ამბობს:

ნუ დაჰყარავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო...

მაგრამ ეს რჩევა, ხვეწნად არ ეჩვენოთ რუსთა იმპერიალისტებს.

ხვეწნა ქართველ ერს არც ეკადრება. რჩევა კი საჭიროა, ამას მოითხოვს ღღევანდელი მომენტიც.

მომენტი კი მოითხოვს რუსეთის ხელმძღვანელ

პრესისაგან, რომ ხმა იყოს ამოღებული ქართველ ერის საჭიროებაზედ, სურვილებზედ და მისწრაფებაზედ.

ჯილდოსი ნუ გეშინიანთ.

ქართველ ერს სამართლიანად დააჯილდოვებს არა „რუსკოე სლოვო“ და საზოგადოთ გაზეთები არამედ თვით ქართველი ერის წამებული ისტორია.

მ-ს ქარცეხლში ქართული ეროვნული აზრი ფოლადივით შეიქცედა და საერთაშორისო და გეოგრაფიულ პირობებმა ისეთ არწივის ბუდეში მოამწყვდია იგი, რომ მისი განადგურება ისევე ადვილია, როგორც ჩერნოგორელებისა ლოჯის მთაზედა.

ასე რომ ჯილდოსი ნუ გეშინებათ.

მართა სამართლიანად და უშიშრად დააფასეთ ქართველობის ღვაწლი რუსეთის იმპერიისთვის და გაიხსენეთ იგი როგორც ერთ თავის ნამდვილი სახით და კეთილშობილურ ქართულ ეროვნულ მისწრაფებანი.

ეს იქნება გასწორება იმ შეცდომისა რომელზედაც ცნობილი მეცნიერი ნ. მარი სწერდა.

ეკალი.

## უცხოეთის მიმოხილვა

### იტალიის პოზიცია.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც იტალიაში განახლდა პარლამენტის მოქმედება. გეხსნისათავე მთელი ქვეყნის ყურადღება მიპყრობილი იყო პრემიერ მინისტრ სალანდრასკენ, თუ რას იტყოდა იგი, როგორ გამოარკვევდა იტალიის პოზიციას ამ საშინელი ომიანობის დროს. ყველას ეგონა, რაკი იტალიამ მხარი არ დაუჭირა გერმანიას მსოფლიო კონფლიქტის დროს, უეჭველია, ეხლა სამთა შეთანხმებას მიემხრობაო. ახლა ამას დაუმატეთ ის გარემოება, რომ იტალიიდან ყოველცისმარე ღღეახალ-ახალი ამბები მოდიოდა, თუ იტალია რა სიმპატიით უყურებს საფრანგეთს, ანუ ინგლისს. ყველა ეს მოკავშირეებისთვის საკმაო საბუთი იყო, რომ დაესკვნათ, აი, ეხლა დაუდგა იტალიის დრო, როდესაც დაიბრუნებს თავის დაკარგულ ტრიესტს, ტრიენტს და სხვა. ამისთვის მას დასჭირდება ომის გამოცხადება ავსტრია-გერმანიასთანაო მაგრამ სინამდვილემ სხვა დაგვანახვა. რომიდან მოსული დებეშები გადმოგვცემენ, რომ იტალია შეურყვევლად იცავს ნეიტრალიტეტს. პრემიერიც სწორედ ამასვე ადას-



ტურებს. მართალია, ის ყოველ დღე მზადებაშია, ჯარის მობილიზაციას ახდენს, ფლოტს თავს უყრის, მაგრამ ჯერაც გამოურკვეველია საით მოიქნევს იგი მახვილსა. სალანდრას სიტყვით ეს მზადება წინასწარი გაფრთხილებაა, რომ ისარი პირველად იქით გასტყორცნოს, საითაც მოულოდნელად მის ნეიტრალიზებას შეეხებინან. მშვიდობიანობა, ნეიტრალიტეტის დაცვა, — აი იტალიის დევიზი. ომის ღმერთს მხოლოდ უმცირესობა მოუწოდებს. ავანტიურა მას ვერ გააბრიყვებს, რომ ვისიმე წაქეზებით ან ოქროთი მოსყიდულ იქნეს. უეჭველია, იტალია მაშინ ამოიღებს ხმას, როდესაც მსოფლიო ტრაგედიის უკანასკნელი მოქმედების ფარდა შეირხევა და ეს გამოსვლა იმდენადვე სარგებლიანი იქნება, რამდენადაც გონივრული...

### ისპანია

„ვინც რა უნდა სთქვასო, წისქვილი კი ჰფქვასო“, ამბობს ქართული ანდაზა, და ეს ისე არსად გამართლებულა, როგორც ისპანიაზე. ის თავისთვის ზის და ქეიფს ეძლევა, მაშინ როდესაც მსოფლიო ომის კოცონის ალი თვით ცასა სწვდება. ისიც ნეიტრალიტეტს იცავს, მაგრამ ნეიტრალიტეტიც არის და ნეიტრალიტეტიც. არის ერთგვარი ნეიტრალიზება, როდესაც ომში არ ერევი, მაგრამ არა იმიტომ, რომ სურვილი არა გქონდეს, არამედ იმიტომ უფრო, რომ სისუსტესა გრძნობ; თუმცა ომისთვის ხელი გქავა. ასეთი იყო ბელგიის ნეიტრალიტეტი, ასეთს გზას ადგია იტალია, ბულგარეთი, რუმინია, საბერძნეთი, რამდენადმე შეეცია, ნორვეგია, დანია, შვეიცარია. მეორე ჯურისას ეკუთვნიან ისეთები, რომელთაც გულწრფელად არა ჰსურთ ომი და არც თავს იცხებებენ მის საშუადისისთვის მხოლოდ ისპანიაა უდარდელი. თითქოს განგებ, ბახუსმა ეხლა შეასხა ფრდები, მაშრის ომი, ან რა ომის სცხელა, როდესაც მას არავინ აწუხებს და სიცოცხლის ტალღამ ახლა აქ გადმოსჩქეფა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კეკლუც პარიზს საკეკლუცო დღე წაუხდა და პრანჭიაობის საპირფარეშო მაგიდა ახლა ზარბაზნების ბეტონით ნაშენ სიმაგრეებად გარდაქცია. ამ საშინელების ქარიშხლის შუა მყუდრო და კეთილდღეობის ოაზისად მხოლოდ ეს დარჩა ისპანია და ამიტომ საკვირველი არ უნდა იყოს, თუ დღეს ყველა იქითკენ მიისწრაფვის, ვისაც ომისთვის არ ერჩის გული და სიამის ტალღა თვალსა სტაცებს. მას ისიც კი ავიწყდება, რომ ახალშენების შიში მოეღოს. მართალია, პრესა და საზოგადოებრივი აზრი გერმანიის სიმპატიით არის გაჟღენთილი, მაგრამ

ესეც ისეთი უწყინარია, რომ სიტყვებს იქით არ გაშორებულა. ფარ-ხმალის ქლარუნი ქიქების წკრილადად გარდაქმნილა, მაგრამ ამ ბედნიერების ოაზისის თავს საიდუმლო ხელით ეწერება დიდებულ გიოტეს წინასწარმეტყველება:

„მკვლარია იგი, ვინც რომა ჰფიქრობს, რომ იგი ყოველისფერისკან დაზღვეულია!

### გერმანელები ოსმალეთში

„რუსკ. ვედომოსტის“ ერთი მიმომხილველთაგანი განიხილავს გერმანელების დამოკიდებულებას ოსმალეთთან, რასაც მოკლედ გავაცნობთ ჩვენს მკითხველს.

გერმანიის მკიდრო დამოკიდებულება ოსმალეთთან მე-XIX საუკუნე. პირველ ნახევარშივე დაიწყო. ჯერ კიდევ 1833 წ. სტამბოლში შემთხვევით მოხვდა მოლტკეს შტაბის ერთი აფიცერთაგანი. მთელი ოთხი წლის განმავლობაში სულთან მაჰმუდ II-ის განკარგულებით იგი ოსმალთა ჯარის ინსტრუქტორად ითვლებოდა. სულთანის სიკვდილის შემდეგ ეს დამოკიდებულება დროებით შესწყდა. მისი განახლება მოხდა 1877—78 წლ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ. ოსმალეთისთვის აშკარა შეიქმნა, რომ მისი ჯარის რეორგანიზაცია აუცილებელი იყო. ოტომანთა მმართველობაში უკვე აქა-იქ გაისმოდა აღტაცება გერმანიის დისციპლინისა და მისი სამხედრო დიპლომატიისადმი. 1883 წ. მათ ხელახლად მოიწვიეს გენერალი ფონ-დერ-გოლცი, დღევანდელი გოლც ფაშა, როგორც ჯარების ინსტრუქტორი. მართლაც, ამ უკანასკნელმა სახელოვნად შეასრულა თავისი მინდობილობა. ოსმალეთის ჯარში მოახდინა ისეთი საოცარი ცვლილება, რომ მას სულ ადვილად არგუნა გამარჯვება საბერძნეთთან 1897 წ.

შემდეგ უფრო მეთოდურად მიისწრაფებოდნენ გერმანელები მცირე აზიისაკენ. სამხედრო გავლენა განმტკიცებულ იქმნა გერმანიისაგან ეკონომიური დამოკიდებულებით. მის მიერ თითქმის შეუმჩნევლად დაპყრობილ იქმნა მცირე აზიის ბაზარი. ოსმალეთი თითქმის გერმანიის ახალშენად გარდაიქმნა. მცხოვრებთა ზედმეტი ნაწილი ოსმალეთისკენ სახლდებოდა. აბდულ ჰამიდმა დიდი სიამოვნებით დაუთმო სამოსახლო ადგილები გერმანელ მოსულებს.

1908 წ. ოსმალეთში წესწყობილება შეიცვალა. ამას მოჰყვა ყოველ ღირებულების გარდაფასება. ახალგაზრდა ოსმალთა სიმპატია უფრო საფრანგეთისაკენ გადინარა, სადაც მათ მცელათ საზოგადო განათლება. მაგრამ რაკილა კონტრ-რევოლიუციის



ტალღები ისევ გერმანიის მიერ გაწვრთნილი ჯარების შემწეობით მოგერებულ იქმნა, ოსმალნი ძალას უნებურად ისევ გერმანელებს დაემოყვრნენ, გერმანია მათი მფარველი ანგელოზი გახდა. ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტები უკვე გერმანელთა ბრძანებას ასრულებდნენ. ეხლაც, ამ კრიტიკულს მომენტში, ოსმალეთი გერმანიის აბჯართ არის შემოსილი და არ უნდა გვიკვირდეს, თუ გათამამდა და თავის გამწვრთნელს უშიშრად გვერდში ამოუდგა...

ქართლელი.

იოქსიმოვიჩის ლექციაზედ

წარსულ კვირას არტისტიულ საზოგადოების დარბაზში „სერბიის სამეფო სავაჭრო აგენტმა“ ბ-მა იოქსიმოვიჩმა წაიკითხა ლექცია „ომის შედეგებზედ“. ამ წაიკითხულს არ დაერქმეოდა ლექციის სახელი, და უფრო გულახდილ საპოლიტიკო პერსპექტივების დასურათ-ხატებას წარმოადგენდა.

ბ-მა იოქსიმოვიჩმა ნათლად წარმოადგინა ორი მძლავრი მოპირდაპირის—სლავიანთა და გერმანელთა—ზრახვანი; თანამედროვე და მომავალი, ყოფილი და სასურველი. ძალთა განწყობილება და სხ. თავის აზრს ასაბუთებდა მრავალის რუკით, ცხრილითა და ციფირებით.

მან წარმოადგინა გერმანია მძლავრ სახელმწიფოდ, რომელსაც სურს მთელი ქვეყნის დაპყრობა და ზედ გაბატონება გერმანელი ჰენისა. დაასურათა, რომ ამ ზრახვას გერმანია სისტემატიურად საფუძველს უმაგრებდა ყოველ მხრივ მეცნიერულად ფიზიკური ძალით, ბროპაგანდით, თუ მშვიდობიანი კოლონიზაციით. უკანასკნელი ყველაზედ მეტად თავს იჩენდა რუსეთში, რომელიც დანდობილად ეპყრობოდა გერმანიას და სწამდა მისი მეგობრული განწყობილება. რუსეთმა ხელში ჩაუგდო გერმანელებს თითქმის მთელი ვაჭრობა და მართველობაც ვაჭრობამ იმდენად სახიფათო სახე მიიღო, რომ რუსეთიდან, როგორც განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფოდან უფრო ნაკლები გაჰქონდათ უკანასკნელ წლების განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები, როგორც პური, ქერი და სხ., ვიდრე შემოჰქონდათ გერმანიიდანაო. გერმანია უთითებდა რუსეთს აღმოსავლეთისაკენ და გადაჰკიდა იაპონიას, რომ ამ დროს გამოეგლიჯა ისეთი სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც ეკონომიურად

უმორჩილებდა რუსეთს გერმანიის ზეგავლენას. აი მთავარი მიზეზების ჩანასახი დღევანდელი ომისა გერმანიასთან და არა მხოლოდ ძმური განწყობილება სერბიასთან.

შემდეგში, თუ რუსეთსა და საზოგადოთ სლავიანებსა სურთ გაუმკლავდნენ გერმანიის მაღალკულტურას, აუცილებლად უნდა მოხდეს შეერთება ყველა სლავიანურ სახელმწიფოსი—ფედერატიული წესით. რუსეთის მეფე და მოსკოვში დაწესებული „ვეჩე“ იქნებთან გამგებელნი ამ ფედერაციისა, რომელშიაც უნდა შევიდნენ ავტონომიური ნაწილები: სერბია, ბულგარეთი, ჩეხია, უკრაინა, პოლონეთი, ბელოროსია და ველიკოროსია. ამასთან, ამ ფედერაციაში მოქცეული სხვა ტომის ერებიც უნდა უზრუნველყოფილნი იყვნენ. მაგალითად რუმინია უნდა გაერთიანდეს თავის ტრანსნივანიასა და ბესარაბიით. ფინებმა, სომხებმა, ქართველებმა და მუსულმანებმა უნდა იქონიონ თავისუფალი ნაწილები და ებრაელნიც განთავისუფლდნენ იმ უცნაურ და სასტიკ მდგომარებიდან, რომელშიაც ეხლა იყოფებიან. აი ასეთი ძმური თავისუფალი კავშირი რუსებში მოსახლე ერებისა სლავიანურ ქვეყნებთან—შეჰქმნის იმ ძალას, რომელიც ალაგმავს ძლიერს და კულტუროსან გერმანიის მილიტარიზმსა.

იოქსიმოვიჩმა გამოსთქვა ის აზრიც, რომ ოსმალეთის იმპერიის გაქრობა სასურველი არ არის, რადგან ესეთი მოვლენა პირისპირ წააყენებდა ორ ისეთ მრქიშვე სახელმწიფოს, როგორც რუსეთი და ინგლისია—ეხლა მეგობრები და ერთად მომქმენდნი. პირიქით, სპარსეთი და ოსმალეთი უნდა გაერთიანდეს, რომ ბუნებრივი საზღვარი აღიმართოს ორმსოფლიო ბუმბერაზს შორის.

ბოლოს იოქსიმოვიჩი შეეხო ქართველ-სომეხთა ურთიერთობას და დაახლოვებით იგივე აზრი გამოსთქვა, რომელსაც ჩვენ ვადგივართ უკანასკნელ დროს: სომხებმა უნდა ავტონომია მოიპოვონ ოსმალეთის სასომხეთოში და იქ ეძიონ თავისი პოლიტიკური სამშობლო, რომ ხელი არ შეუშალონ იმ ერებს, საცა სტუმრებად არიან. ქართველების ხსნა ცრუ მიმართულებისაგან სხვათაშორის დაინახა თავისუფალ ეკლესიის აღდგენაშიაც და მოუწოდებდა ვისაც ჯერ არს-ამ აღდგენისადმი.

ლექცია მეტად თამამი და სხარტული იყო. საზოგადოება ბლომად დაესწრო და გულწრფელადაც აჯილდოვებდა ტაშით.



# თეატრი და ხელოვნება

მრავალი რამ საკურიოზო ჰქნდება ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ თუ ვისმეს ჩემპიონობა ჰქონდეს დაიკვირებს რამეში, ეს ისევე ჩვენი სათეატრო სეზონი განსვით. ასეთი უფერული რეპერტუარი არა ვგონებ როდისმე ჰქნებოდეს ჩვენს შეღებოქნეს. ამ მხრივ იმისი ბუდი თითქმის საფლავის კარამდე მივიდა. ან რა არის, თუ არა სიკვდილი, როდესაც იგი ძველის ძველს თახჩებში სძებნის ყოფილ უვარკას ზიესებს, რომელთაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენს ცხოვრებისათვის. აიღეთ, მაგალითად, ვ. აბაშიძის საბეჭეფისად დადგმული ანტონოვის ზიესა „მზის დაბნელება საქართველოში“. ერთი მითხარით, გეთავკვთ, რა ჰქონია ამ ზიესაში ისეთი, რასაც შეეძლოს დაკმაყოფილებინოს დამსწრე საზოგადოების ესთეტიური კომოვნება? სათვარი არ უნდა იყოს, თუ დახვეწილმა ზიესამ არჩივის ობი მოუკიდა თვითუელს დამსწრეს. ეს წარმოდგენა კი არა, ლიტერატურული და უფრო ზრდილობიანი კილოთი რომ ვსთქვით, ორ შაურინი ბალანსი გხვდით და მეტი არაფერი. ვინ დავასახელო? რომელი ერთი? მობეჩეფისე? მაგრამ რა ფასის ხელოვნება დაგვანახვა მან? ღირდა რათე? ჰეშმარიტად, თამაში სრულებით არ შეეფერებოდა ისეთ სახელოვან მსახიობის ნიჭს, როგორც ბ-ნი აბაშიძეა. და ეს გარემოება მით უფრო გვიკლავს გულს. მის მრავალ ფეროვან რეპერტუეს არ შეჭფერრის ასეთი მარცხი. ჩვენ

შეგვეძლო მას ვაზატოთ ზიესის ამორჩევა, მისი უმინარობა, თუ კი ერთი მხრით მაინც დაგვკამაყოფილებოდა, ვთქვით, თამაშით. მაგრამ როდესაც არც ეს არის, მას რა დაკვრჩენია, თუ არა ისევე სინანული? დიანსაც ვწუხვართ, დიდად ვწუხვართ ხელოვნების ასეთს მარცხს, მარცხს, რომელაც უგვან ზიესის გამორჩევაში უფრო გამოიხატა, ვიდრე მის დადგმაში. ამ მხრივ რეჟისორს არა დაეკლო რა, რომ ს:ბალანსი სცენები ბ:ლაგანისთვის დაეხკავსკებისა. მასსიური სცენები განსაკუთრებით შეორე აქტში, მეტის სიტონსლით სჩქეფდა. დამსწრე საზოგადოება გულიანად იტინოდა კინტოების თამაშზე, შარმანის „ჩიკა ჩიკაზე“ და ბუქნაობაზე, მაგრამ ნუ დავივიწებთ, რომ იგივე საზოგადოება ბერტუენითა და გინებით იშლებოდა, რომ დრო მოჭმულ და ეუქსავატ ზიესის უურებით ტუუილუბრლოდ დრო დაჰხარგა. არა, მართლაც ბუერი რამ საკურიოზო რამ ჰქნდება ჩვენს დალოცვილს ცხოვრებაში, მაგრამ სათეატრო საქმესთან უფველისფერი ფას'..

ლიოგენ .

რედაქტორ-გამომცემელი  
რ. გაბაშვილი.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ კვირულ საზოგადო-ეკონომიურ

და სალიბერალურ ჟურნალ

**„კლდე“-ზედ.**

ფასი წლის ბოლომდის ათი შაური

ცალკე ნომერი ყველგან 10 კაპ.